



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ლალიძის წყლები“

„ლალიძის წყლები“ (შპს), ხილულის წყლების მაღაზია თბილისში. გახსნა მ. ლალიძემ 1906 ე. გოლოვინის (ახლანდ. შოთა რუსთაველის გამზირი №24) და 1926 თავისი ნებით გადასცა მთავრობას. მაღაზია შპს-დ ჩამოყალიბდა 1999 წ. 19 აგვისტოს. საერთო ფართ. 820 მ², ჰქონდა ხილულის წყლების, აგრეთვე ხაჭაპურის (ფენოვანი, იმერული და აჭარული) დარბაზები. გამოირჩეოდა ხილის სიროფების ფართო ასორტიმენტით: „კახური“, „ტარხუნა“, „შინდი“, „ლიმონი“, „ფორთოხალი“, „იზაბელა“, „ნაღები“, „შოკოლადი“, „კომში“ და სხვ., რ-ებსაც მ. ლალიძის რეცეპტით სააქციო საზ-ბა „ლალიძეში“ ამზადებდნენ. 2007 მაღაზია, რ-იც დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი იყო, თავის სარდაფთან ერთად დაიხურა.
